მშრომელეთარეგო! ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1943 წ. № 254 (6879). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

8 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

8 დეკემბრის განმავლობაში კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები, რომლებიც სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები ელიზავეტგრადკა, ნოვაია პრაბა, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები სემენოვკა, ოლოვკა, მიხაილოვკა, სვეტლოპოლიე, ბრიგორიევკა და რკინიგზის სადგური შაროვკა. ამგვარად, ზნამენკა-ნიკოლაევის, ზნამენკა-კიროვი როგზის რკინიგზა გადაჭრილია ჩვენი ჯარების მიერ.

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს მტრის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი.

ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან, რომელთა მსვლელობაშიც ჩვენ მიერ დატოვებულია რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ხროლაა.

7 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 96 ტანკი, მათ შორის 84—ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 19 თვითმფრინავი.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. მტერი ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა და კონტრიერიშზე გადმოჰყავდა ქვეითი ჯარისა და ტანკები, დიდი ძალები. ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიშები და გადამწყვეტი დარტყმით დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრი—ნოვაია პრაგა. ამ დიდი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე და მის ქუჩებში მტრის 800-ზე მეტი გვამი დარჩა. ხელთ ვიგდეთ დაევლა, მათ შორის 5 თვითმავალი ქვემეხი, საომარი მასალის საწყობი, 2 საწყობი საბრძოლო ქონებიანად და საწყობი სურსათიანად. საბჭოთა ჯარებმა წარმატება განავითარეს, დაიკავეს რკინიგზის სადგური შაროვკა და აბით გადასჭრეს რკინიგზა ზნამენკიდან ნიკოლაევისა და კრივოი როგისაკენ. სხვა ჩვენი შენაერთის ნაწილებმა გერმანელები განდევნეს კიროვოგრადის ოლქის რაიონულ ცენტრ ელიზავეტგრადკიდან. ერთ უბანზე მტერი ცდილობდა ფლანგიდან დაერტყა ჩვენი შემტევი ჯარებისათვის. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან სწრაფი კონტრდარტყმებით ჩვენმა ნაწილებმა გერმანელები მარწუხში მოაქციეს და აიძულეს სასწრაფოდ დაეხიათ უკან. ამ ბრძოლაში მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი, გერმანელთა 12 ტანკი და 2 ჯავშნიანი მანქანა.

* * *

დნეპრის მოსახვევში, დნეპროპეტროვსკის სამხრეთ-დასავლეთით, 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს მტრის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი და 20 ტყვიამფრქვევი. წამოღებულია დავლა და წამოყენილია ტყვეები.

საბჭოთა მფრინავებმა ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ააფეთქეს მტრის სამხედრო ეშელონი, საომარი მასალის 2 საწყობი და მოსპეს გერმანელთა 60-ზე მეტი ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან. 6 შენაერთის ნაწილები დღის განმავლობაში იგერიებდნენ გერმანელთა იერიშებს, რომლებიც ერთმანეთს მოსდევდა. მტერმა ბრძოლაში გამოიყენა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. მძიმე ზარალის ფასად მან მოახერხა ჩვენი ქვეგანაყოფების შეიწროება და რამდენიმე დასახლებული პუნქტის დაკავება. დღის განმავლობაში ამ უბანზე მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დამწვარი და დაზიანებულია მტრის 66 ტანკი და 4 ჯავშნიანი მანქანა. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა მოსპეს გერმანელთა 18 ტანკი, 7 ჯავშნტრანსპორტიორი და ბევრი ავტომანქანა მტრის ქვეით ჯარიანად.

* * *

გერმანიის სარდლობამ სპეციალური სამხედრო ნაწილები გაგზავნა ლენინგრადის ოლქის დროებით ოკუპირებული დაბებისა და სოფლების გასაძარცვაცვად და მოსასპობად. ფაშისტა ავაზაკთა ეს რაზმები იჭრებიან სოფლებში, ართმევენ მშვიდობიან მცხოვრებთ სურსათს, პირუტყვს, ქონებასა და ძვირფას ნივთებს. მოსახლეობის გაძარცვის შემდეგ გერმანელები დასახლებულ პუნქტებს სწვავენ, საბჭოთა მოქალაქეებს კი გერმანიის კატორღაში მიერეკებიან. ლენინგრადელ პარტიზანთა რამდენიმე რაზმი უკანასკნელ ხანს ზეიუპოვარ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელ მძარცველთა და მკვლელთა რაზმებთან. ამ ბრძოლების მსვლელობაში, არასრული ცნობებით, პარტიზანებმა მოსპეს 1.200-ზე მეტი ჰიტლერელი. საბჭოთა პატრიოტებმა გაათავისუფლეს ბევრი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები ფაშისტურ ტყვეობაში მიერეკებოდნენ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 82-ე ქვეითი დივიზიის 168-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ადიუტანტმა ობერ-ლეიტენანტმა კარლ შვარცმა განაცხადა: „სექტემბრის ბოლოს ჩვენი დივიზია შესდგებოდა 168-ე და 158-ე პოლკებისაგან, ამასთან ერთ პოლკში ორი ბატალიონი იყო, მეორეში კი ერთი. დივიზიას მიკემული ჰყავდა კიდევ ორი მებრძოლი ჯგუფი, რომლებიც შედგენილი იყვნენ მოსპობილი შენაერთების ნაშთებისაგან. ერთ სოფელთან მოუმდარ გაფფრებულ ბრძოლებში 168-ე პოლკი განადგურებულ იქნა. მეორე ბატალიონში 150 ჯარისკაცი დარჩა, პირველ ბატალიონში კი — მხოლოდ 75-ა კაცი. რამდენიმე დღის შემდეგ პოლკმა შეავსება მიიღო, მაგრამ ჯარისკაცები გაუფრთვნელი აღმოჩნდნენ. დივიზია არაბრძოლისუნარიანად სტენს და უახლოეს ზურგში წაიყვანეს. მაგრამ ამან ცოტა ხანს გასტანა. მოულოდნელად რუსებმა სწრაფად წამოიწიეს წინ, და ჩვენ გარშემორტყმის საფრთხე შეგვექმნა. ბატალიონებსა და პოლკის შტაბს შორის კავშირი გაწყდა. ყუმბარის პირდაპირი მოხვედრით მოსპობილ იქნა შტაბის მანქანა და მძიმედ დაიჭრა მეორე ბატალიონის ვეთაური. ჯარისკაცები გაიქცნენ.

საღამოს მე მოვახერხე 25 კაცის შეგროვება — ეს იყო სულ, რაც ბატალიონისაგან დარჩა. უკანდახევისას, გზაში კიდევ 18 ჯარისკაცი დავკარგე, და ამ დროს რუსები წამოგვეწივნენ“.

* * *

მიღებულია ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანელი ფაშისტი არამზადები მხეცურად უსწორდებიან მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს. ბარანოვიჩის ოლქის სადგურ-ლესნაიაზე თავი მოიყარა მრავალმა ათასმა კაცმა, რომელთაც გერმანელები უკანდახევისას ძალით მიერეკებოდნენ მშობლიური სოფლებიდან და ქალაქებიდან გერმანიის კატორღაში. ნოემბრის ბოლოს, ნაჩქარევი სამედიცინო შემოწმების შემდეგ ჰიტლერელებმა გამოარჩიეს 900-ზე მეტი არაშრომისუნარიანი და ავადმყოფი და დახვრიტეს ისინი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. ვიშინსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას ამხ. ანდრია იანუარის-ძე **ვიშინსკი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 9 დეკემბერი.

სტალინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტმა და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინური პრემიების კომიტეტმა დაიწყეს მუშაობა სტალინური პრემიების კანდიდატთა შესარჩევად.

წელს სტალინური პრემიები მიენიჭებათ ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაშრომებისათვის; გამოგონებათათვის, საწარმო მუშაობის მეთოდთა ძირეული გაუმჯობესებისათვის და ლიტერატურის და ხელოვნების ღირსშესანიშნავი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც დამთავრებულია 1943 წელს, აგრეთვე 1942 წლის 15 ოქტომბრიდან 1943 წლის 1 იანვრამდე განვლილ პერიოდში.

წინადადებანი სტალინური პრემიების მიღების შესახებ მეცნიერულ ნაშრომებთან ან გამოგონებათა და გაუმჯობესებათა აღწერილობასთან, აგრეთვე ლიტერატურის და ხელოვნების დარგის ნაწარმოებებთან ერთად წარდგენილ უნდა იქნას 1944 წლის 15 იანვრამდე შესაბამისად მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში კომიტეტის მისამართით: г. Москва, Рождественка, д. № 11 და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში მისამართით: г. Москва, проезд Художественного театра, д. № 3.

(საკდესი).

მიმართვა

ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის კავშირის კავშირგაბმულობის ყველა მუშაკისადმი

საბჭოთა მეკავშირეები, სწერენ მიმართვის ავტორები, მოწოდებული არიან უზრუნველყონ ფრონტისა და ზურგისათვის საიმედო, შეუფერხებელი კავშირგაბმულობა, სანიმუშო მომსახურება გაუწიონ კავშირგაბმულობის საშუალებებით წითელ არმიას და ჩვენი საშობლოს მალონობით მშრომელთ.

ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მეკავშირეებმა, რომელნიც თავდადებულად სძლევენ ქალაქ-ფრონტის სიძნელეებს, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ქალაქ ლენინგრადის კავშირგაბმულობის საწარმოებმა არაერთხელ გამოსულან გმირულად ბრძოლებში. ლენინგრადელ კავშირგაბმულობის მუშაკთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ლენინგრადის ოლქის მეკავშირეებმა ოქტომბერში მოიპოვეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამხანაგ სტალინის მოწოდების პასუხად ჩვენ გადაგწყვიტეთ ვიკისროთ ახალი სოციალისტური იერიშებანი:

1. 1943 წლის შემოსავლის სახელმწიფო გეგმა შეავსრულოთ ვადამდე—10 დეკემბრისათვის.

2. აღმოვფხვრათ დეპეშების დაყოვნება გადაცემისა და მიტანისას; აღმოვფხვრათ სასადგურო დაზიანებანი და ტექნიკური შეფერხება ტელეგრაფებში საქალაქთაშორისო და სატელეფონო სადგურებში.

3. საქალაქთაშორისო სატელეფონო ქსელი 10 გამოყენების კოეფიციენტი გავადიდოთ 5 პროცენტით სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

4. მივაღწიოთ იმას, რომ ავტომატური სატელეფონო სადგური ამონენტებს პასუხს აძლევდეს სწრაფად—არაუგვიანეს 2,5 წამისა.

5. უზრუნველყოთ რადიოსადგურების მაღალხარისხოვანი მუშაობა, ტექნიკური ექსპლოატაციის საათის ღირებულება შევამცირეთ 15 პროცენტით და ელექტროენერგიის ჭარბვა—10 პროცენტით დაწესებულ ნორმებთან შედარებით.

6. სავსებით აღმოვფხვრათ რადიოკავშირების ჯაჭვდენა. 150 პროცენტით შეგასრულოთ რადიოსატრანსლაციო წერტილების განვითარების IV კვარტალის გეგმა.

7. უზრუნველყოთ საფოსტო კორესპონდენციისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების რაც შეიძლება სწრაფად და დაუზიანებლად მიტანა ადრესატამდე.

8. ვადამდე დავამთავროთ პერიოდული პრესის გავრცელების წლიური გეგმა და 1944 წლისთვის ხელმოწერის ჩატარება.

ჩვენს საპატიო მოვალეობად მიგვაჩნია რა დახმარება გავუწიოთ კავშირგაბმულობის საშუალებათა რაც შეიძლება სწრაფად აღდგენაში“ გერმანელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ რაიონებს, ჩვენ ვიკისრებთ ვალდებულებას:

ჩვენი ძალებით და საშუალებებით მოვამზადოთ აპარატურა და მოწყობილობა კავშირგაბმულობის კვანძების (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონის სადგური, რადიოკვანძი) აღსადგენად ლენინგრადის ოლქის ყველა რაიონში, რომელნიც გერმანელი ოკუპანტებისგან დაზარალდნენ;

ჩვენი ძალებითა და საშუალებებით მოვამზადოთ მოწყობილობა კავშირგაბმულობის კვანძების აღსადგენად უკრაინის ერთ-ერთ სოსნოვკა ცენტრში. გავგზავნოთ სპეციალისტთა ბრიგადა ამ კვანძის აღსადგენად ადგილზე.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა მეკავშირეს კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება, ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხონ ამხანაგ სტალინის მოწოდებას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

9 დეკემბრის განმავლობაში კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტები ვოროშილოვკა, პოდოროჟნოე, ჩაპლიშჩე, ტარასოვკა, კოლონტაევ-პოლსკი, რაცევო, კოლონტაევი, სტეცოვკა, სნეჭკოვკა, პეტროვო, მოშოვრინო, ზარუდნი ბაირაკი, მიტროფანოვკა, სპასოვო და რკინიგზის სადგური მედვეროვო.

ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ხროლაა.

8 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 78 ტანკი, აქედან 75 — ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 33 თვითმფრინავი.

* * *

კრემენჩუგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მტერი ძლიერ ცეცხლითს წინააღმდეგობას გვიწევს და კონტრიერიშებზე გადმოდის. საბჭოთა ჯარებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად წინ წაიწიეს და დაიკავეს მთელი რიგი ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტები. ერთი პუნქტისათვის ბრძოლაში 6 ნაწილის მებრძოლებმა ვაჟკაცობა ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. ოსპეს 5 თვითმავალი ქვემეხი და 30-ზე მეტი ავტომანქანა. გერმანელებს წავართვეთ 3 ჯავშანტრანსპორტიორი, 12 ქვემეხი, 37 ტყვიამფრქვევი, 8 ნაღმსატყორცნი, ერთი საარტილერიო საწყობი და 2 ნიფსაწყობი. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს რკინიგზის გასწვრივ და დაიკავეს სადგური მედეროვო. მტერი ამ სადგურის რაიონში გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ უკუგდებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა მიერ უკანდახევისას დაყრილი დიდძალი სასროლო საჭური და საომარი მასალა.

* * *

ჩერნიახოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მოწინააღმდეგე, უდიდესი ზარალის მიუხედავად, ახალ სატანკო და ქვეითის ნაწილებს აბამდა ბრძოლაში. 6 შენაერთის ნაწილებმა რომლებიც იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალების იერიშებს, დღეს მოსპეს გერმანელთა 6 ტანკი, 7 თვითმავალი ქვემეხი და 11 ჯავშანტრანსპორტიორი. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა დასწვეს და დაზიანეს გერმანელთა 23 ტანკი და 20 ავტომანქანა. მოწინააღმდეგეს მეტად მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ მოწინააღმდეგის ნავსადგურზე თავდასხმის შედეგად ჩასძირა 2 სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი და ერთი საგუშაგო კატერი. ნავსადგურში რამდენიმე ადგილას გაჩნდა ხანძარი და მოხდა დიდი ძალის აფეთქება.

* * *

მოგილიოვის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა დეკემბრის დამდეგს ააფეთქა გერმანელთა 5 სამეჯდრო ეშელონი, რომლებიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდნენ. მარტის შედეგად ჩოსპობილია 4 ორთქლმავალი, 33 ვაგონი ჯარებიანად და რამდენიმე ათეული პლატფორმა ტანკებიანად და ავტომანქანებიანად. მინსკელი პარტიზანების რაზმი ნოემბრის დასასრულს რამდენიმე დღის განმავლობაში ეწეოდა ბრძოლას გერმანელთა ჯარის ნაწილთან. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს ორ ასეულამდე ჰიტლერელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ერთი ქვემეხი, 84 შაშხანა, 12 ტყვიამფრქვევი, დიდძალი საომარი მასალა და წამოიყვანეს ტყვეები.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის მე-19 სატანკო დივიზიის გრენადერთა 73-ე პოლკის მე-2 ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ფრანც პაველიმ განაცხადა: „სექტემბრის შუა რიცხვებში საფრანგეთში სხვადასხვა ნაწილის ჯარისკაცებისაგან შეადგინეს ვანსაკუთრებული ბატალიონი, რომელსაც ეწოდეს მეთაურ ვესტენბერგერის სახელი. ბატალიონში 6 ასეული იყო. მალე ჩვენ აღმოსავლეთის ფრონტზე გამოვემგზავრეთ. პირველსავე ბრძოლებში ჩვენმა ასეულმა 80 კაცი დაკარგა, ხოლო ორი კვირის შემდეგ ბატალიონმა „ვესტენბერგერმა“ არსებობა შეწყვიტა. ცოცხლად დარჩენილი ჯარისკაცები მე-19 სატანკო დივიზიის 73-ე პოლკის ეგანაყოფთა შორის გაანაწილეს. საფრანგეთიდან წამოსვლისას ჩვენ ვიცოდით, თუ რა მოგველოდა რუსეთში და გვესმოდა, ომ ფრონტზე ზარალი გარდუვალია. მაგრამ ვერავინ წარმოედგინა, რომ ბატალიონი ასე მოკლე ხანში იქნებოდა განადგურებული. მე 73-ე პოლკის მეორე ასეულში მოვხვდი. რამდენიმე დღეს პოლკში მზადება იყო იერიშისათვის. დანიშნულ საათს დაწყო საარტილერიო მომზადება, მაგრამ რუსებმა ისეთი საპასუხო საარტილერიო ცეცხლი გაიჩაღეს, რომ ჩვენთაგან თავის ამოყოფა ყერაკინ გაბედა. ოფიცრები რევოლვერებით გვემუქრებოდნენ, საიერიშოდ მოგვერეკებოდნენ, მაგრამ მათ ადგილიდან ვერავინ დასძრეს. როცა რუსები ჩვენს სანგრებში შემოიჭრნენ, მე სხვა ჯარისკაცებთან ერთად ტყვედ დავნებდით“.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები მხეცურად ხოცავენ შრომისუუნარო და ავადმყოფ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც გერმანიის ჯარებმა უკანდახევისას ძალით გარეკეს. ვიტებსკის ოლქის დაბა გურკში 25 ნოემბრის გერმანელებმა სუპით მოწამლეს 2 ეშელონი, რომლებშიც ბევრი ავადმყოფი საბჭოთა მოქალაქე იყო. მინსკში მარტო ორ დღეს — 18 და 19 ნოემბერს ფაშისტმა მტარვალებმა მოწამლეს 1.500-მდე შრომისუუნარო მოხუცი, ქალი და ბავშვი. მოწამლულთა გვამები დასწვეს. სრადიან რა სულ ახალ-ახალ ბოროტმოქმედებას, ჰიტლერელი ბანდიტები ამავე დროს განაგრძობენ მათ მიერ საბჭოთა მიწა-წყალზე ჩადენილ სისხლიან დანაშაულობათა კვალის მოსაშლელად. მინსკის მახლობლად, სოფელ ტროსტენეცში, ყოფილ სამხედრო ქალაქ კრასნოე ურჩიშჩეს ტერიტორიაზე გერმანელებმა გადათხარეს მასობრივი საფლავები, რომლებშიც დამარხული არიან ფაშისტი ოკუპანტების მიერ ნაწამები და დახოცილი საბჭოთა მოქალაქენი. ამ საფლავებიდან ამოთხრილ გვამებს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

რუზველტის, ჩერჩილისა და ინონიუს შეხვედრა კაიროში

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი) რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 7 დეკემბერს კაიროში გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისმეთ ინონიუ და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი ერთმანეთს შეხვდნენ კაიროში 4, 5 და 6 დეკემბერს. დიდი ბრიტანეთის საგარეო სამინისტრმა იდენმა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მენემენჯიოღლუმ და ჰარი ჰოპკინსმა მონაწილეობა მიიღეს მათ მოლაპარაკებაში. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურის მონაწილეობა გულითადი ძოწვეული საპასუხოდ, რაც მას გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების მიერ, მეტადინაფიოდ მოწმობს იმ კავშირის ძალას, რაც ინვლისსა და თურქეთს აერთიანებს, აერთვე ზიდრო მეგობრობას, რაც თურქ ხალხსა და ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის არსებობს. პრეზიდენტმა რუზველტმა, პრეზიდენტმ, ინონიუმ და პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილა განიხილეს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და ყოველმხრივ განიხილეს თავიანთი პოლიტიკა, რომელსაც ისინი დაიცავენ, იღებენ რა ზეგდელობაში სამი ქვეყნის საერთო და განსაკუთრებულ ინტერესებს. ურთიერთგაგებისა და ლოიალობის სულისკვეთებით ყველა პრობლემის შესწავლამ ცხადყო უმაღლესი ერთიანობა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა, თურქეთსა და ინგლისს შორის არსებობს, და მათი დამოკიდებულება საეროაშორისო მდგომარეობისადმი. ამის შედეგად მოლაპარაკება კაიროში უაღრესად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო ოთხი ქვეყნის შემდგომი ურთიერთობისათვის. ამერიკისა და ინგლისის დიდი დემოკრატიების ინტერესთა და შეხედულებათა და საბჭოთა კავშირის შეხედულებათა და ინტერესთა იგივეობა, ისევე, როგორც მეგობრობის ტრადიციული ურთიერთობა, რაც ამ სახელმწიფოთა და თურქეთს შორის არსებობს, კვლავ დადასტურდა კაიროს კონფერენციაზე“.

ახალი საწარმოები კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში დაიწყო სტანდარტული სახლთმშენებლობის ქარხნის ფეგება. ნავარაუდევია, რომ ქარხანა წლიურად გამოუშვებს 100 ორსართულიან სახლს, რომელთა საერთო ფართობი იქნება 36 ათასი კვადრატული მეტრი. სწარმოებს აგურის ქარხნის რეკონსტრუქცია. მისი სიმძლავრე აყვანილი იქნება 20,5 მილიონ ცალ აგურამდე წელიწადში (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **ტოლსტოი** ნიკოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ისლანდიაში.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ბელადო და მასწავლებელო!

წითელი არმიის ძლევამოსილი მეტევის საზეიმოდ ღღეებში, როდესაც მოსკოვი ალაზეიმო სალუტებით მეესალმება მშობლიური ქალაქების განთავისუფლებას, მიიღეთ ჩვენგან მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერგულების სიტყვები.

გამარჯვების დიდების შარავანდედიდან მოსილ ამ ღღეებში, ისევე როგორც მკაცრი განსაცდელის დროს, ჩვენი ფიქრები ყოველთვის მოპყრობილია თქვენდამი, შმობლიური, მახლობელი და საყვარელი ადამიანისადმი.

ომის ველებზე, ფაშიზმის შავბნელ ძალებთან თავდადებულ ბრძოლაში ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო იცავს თავის დამოუკიდებლობას და ოქტომბრის დიად მონაპოვართ, იცავს თავის კულტურას, თავის მომავალს. წითელი არმიის რიგებში, დასავლეთისაკენ რომ მიაქანებს ძლევის დროშებს, იბრძვიან ჩვენი ამხანაგი მასწავლებლებიც, რომლებმაც წიგნი სახრძოლო იარაღზე შესცვალეს. ისინი მიდიან თავისი აღზრდილების გვერდით, მათთან ზიარებენ ისტორიაში უდიდესი ბრძოლების შრომას და დიდებას.

ჩვენ, მასწავლებლები, ბედნიერნი ვართ, როდესაც მთელი მსოფლიო აღტაცებას გამოსთქვამს ჩვენს თვალწინ გაზრდილ და ჩვენ მიერ აღზრდილ გმირთა უმაგალითო საგმირო საქმეებით. ჩვენ ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ ჩვენს მოწაფეებს და ჩვენს აღზრდილებს მტკიცედ ეპყრიათ ხელთ საბრძოლო იარაღი, რომ მათ არ შეურცხვენიათ და არც შეარცხვენენ ამ იარაღის სახელს. ჩვენ თავს ვხრით იმ გმირთა ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლებიც დაეცნენ ბრძოლის ველზე, რომლებმაც თავისი წმიდა სისხლით მორწყეს მშობლიური განაწამები მიწა-წყალი.

ომი მოითხოვს ხალხის ყველა ძალისა და საშუალების უდიდეს დაძაბვას. ჩვენ ყველანი, დიდით პატარამდე, ჩვენს წინაშე ვხედავთ მხოლოდ ერთ მიზანს, ერთ ამოცანას—გამარჯვებას. მაგრამ უკვე ახლა, ამ მკაცრ დროს, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ხორციელდება ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების გრანდიოზული პროგრამა. მიწა ჯერ კიდევ გადათხრილია სანგრებითა და ტრანშეებით, ჯერ კიდევ შავად მოსჩანან ფაშისტების მიერ დანგრეულ ქალაქთა და სოფლთა გადარეულული ქუჩები, ნახანძრალთა შორის კი უკვე აღორძინებას იწყებს ახალი ცხოვრება, შენდება ახალი სახლები, ხოლო მათგან თითქმის პირველნი — სკოლები.

ომის მძიმე ტვირთი ხელს ვერ უშლის საბჭოთა ქვეყანას იზრუნოს თავის მომავალზე—ბავშვებზე, სკოლაზე, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს ესენი.

ყოველ დღეს მოაქვს ამბები უდიდესი მნიშვნელობის ახალ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიმართულია სახალხო განათლების საქმის განმტკიცებისაკენ. ფართოდება საბავშვო სახლების ქსელი. მზრუნველ მოვლას, ფიდობრივ ალერსს პოულობენ იქ ბავშვები, რომლებმაც ომის დროს ოჯახი და თავშესაფარი დაკარგეს. ამ საბავშვო სახლებში სამუშაოდ მიწვეული არიან საუკეთესო პედაგოგები და სპეციალისტები. სკოლებში შემოღებულია ვაჟებისა და ქალების ცალკე სწავლება, შემოღებულია მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები. გადაჭრით უმჯობესდება სახალხო მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობა.

სიტყვები ვერ მოგვინახავს იმისათვის, რომ გამოვთქვათ, თუ როგორ გვახარებს და გვაფრთოვნებს პარტიის, მთავრობისა და პირადად თქვენი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე, დაუცხრომელი ყურადღება სკოლების, მასწავლებლებისა და მოწაფეების საჭიროებებისადმი.

ბავშვები იცნობენ და მთელი სულით და გულით გრძნობენ თქვენს ზრუნვას. რა ამაღელვებელი სინაზით, რა აღტაცებით სიყვარულით გბისმის ყოველი სიტყვა თქვენზე! თქვენი სახელი მათთვის მამაცობის, ღირსების, გულადობის, სამშობლოსადმი მაღალი და თავდადებული სამსახურის სიმბოლოა.

ჩვენ, მასწავლებლები, ვამაყობთ იმით, რომ მოწოდებული ვართ აღვზარდოთ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მუდამ გახსოვართ ჩვენ. აფასებთ ჩვენს შრომას, რომელიც საჭიროა სამშობლო ქვეყნისათვის, და ეს უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ახალ სასწავლო წელს ჩვენ ვიკისრებთ საპატიო მოვალეობას—ავიყვანოთ ჩვენი საბჭოთა სკოლა იმ მაღალ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც მას ამჟამად სამშობლო უყენებს. მთელ ჩვენს ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას ამ საქმეს მოვახმართ.

ჩვენი პირველი წმიდათა-წმიდა მოვალეობაა შევასრულოთ სტალინური კანონი საყოველთაო სწავლების შესახებ. ეს კანონი ჩაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში. ყოველ ბავშვს უფლება აქვს სწავლობდეს **და** უნდა სწავლობდეს კიდეც. ჩვენ პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ ყოველ ჩვენს ქალაქში, ყოველ ჩვენს სოფელში არც ერთი ბავშვი არ დარჩება სკოლის გარეთ.

ბავშვები შეიარაღებულნი უნდა იყვნენ იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც

საბჭოთა საქართველოს მშრომელები პაზრიოზული საქმეებით უპასუხებენ სამი მოკავშირე სახელმწიფოს კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

მიზინგი მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები მხურვალედ მიესალმნენ სამი მოკავშირე სახელმწიფოს — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა საერთო კრება შესანიშნავი სიტყვით გახსნა ამხ. ნ. მახარაძემ. აკად. კ. ზავრიევმა განაცხადა, რომ სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრა თეირანში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ჩვენი საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გამარჯვება თვითონ მოვა. სრული გამარჯვება, როგორც ამას დიდი სტალინი გვასწავლის უსასტიკეს ბრძოლებში უნდა მოვიპოვოთ. ჩვენ, მეცნიერმა მუშაკებმა, მნიშვნელოვანი მუშაობა გაგწიეთ ფრონტის დასახმარებლად. მაგრამ, ამჟამად როცა მოსისხლე მტრის საბოლოო მოსპობის დღე უკვე ახლო არის, კიდევ მეტი თავდადებით ვიმუშაებთ და სახელოვან წითელ არმიას მივცემთ ყველაფერს, რაც საჭიროა ჰიტლერულ ტრანიაზე სრული გამარჯვებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნ. მუსხელიშვილმა კრებას გააცნო სამი დიდი დემოკრატიული სახელმწიფოს დეკლარაციის ტექსტი და მეცნიერ მუშაკებს მოუწოდა მეცნიერული მუშაობის კიდევ უფრო აღმავლობით უპასუხონ საბოლოო გამარჯვების დოკუმენტებს — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილს მიერ ხელმოწერილ დეკლარაციებს. პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პროფ. დონდუა და დოც. დოლიძე.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილება წარმოადგენს მძლავრ გარანტიას იმისშემდგომ პერიოდში ხალხთა მეტოქეობის კიდევ და ხანგრძლივი მშვიდობიანობისა და თანამშრომლობისას, რაც უზრუნველყოფს საერთო პროგრესს, მეცნიერებისა და კულტურის გაფურჩქვნას, მეცნიერმა მუშაკებმა იკისრეს გაათკეცებული ენერგიითა და თავდადებით იმუშაონ გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, სსრ კავშირის საბრძოლო ძალიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გერმანიის ფაშიზმის განადგურება გარდუვალია

თეირანში მომხდარი დიდი, ისტორიული შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი და უაღრესად ფართო პერსპექტივების გადამშლელია.

სასიხარულოა, რომ თანამედროვე დიდი სახელმწიფოების მეთაურებმა ითანხმეს ერთად, რომ ამ თათბირში უმუალო მონაწილეობას იღებდა გენიალური გონება და ნათელი აზროვნება დიდი სტალინისა.

და ეს ყოველივე ისევ და ისევ ყაბრობის კეთილდღეობისათვის.

ომის საკითხების ერთობლივი და შეთანხმებული მოგვარება, ეს ხომ აუცილებლობაა უფლომ მტერზე სწორ-ტაქტიკური გამარჯვებისა; მშვიდობიანობის დროის ორმაგი ძალა წესრიგის განვითარება, ეს არის, ალბათ, ძველი ქართველები იტყოდნენ, „საშვილიშვილო საქმე“.

აკი დეკლარაციაში ტყუილად არ არის ნახსენები „მრავალი თაობის“ უზრუნველყოფა ომის საშიშროებისაგან.

ეს დიდი, გულის მასალმუნველი ფართო ჰორიზონტი იშლება ყაბრობიობის წინაშე მომავალი, ადამიანური ცხოვრებისა.

ამ გარემოებამ, ამ თათბირის შედეგმ, კიდევ უფრო უნდა შეგვამჭიდროს ბოლი საბჭოთა ხალხი, რომ საბოლოოდ, გამარჯვებულ-ბელი თავზარი დავცეთ გერმანელ ფაშიზმს.

ეს გარდუვალია, რადგან ამ დიდ ისტორიულ საქმეს განაგებს უბრძნესი თანამედროვე ადამიანთა შორის დიდი სტალინი.

ფალვა დადიანი
დრამატურგი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სვანეთიდან შრომით დეპეშებზე მეორეზე გამარჯვებას

დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ხაშურის რაიონის მშრომელები სამი მოკავშირე სახელმწიფოს დეკლარაციას. რაიონის საშარმოებსა, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში ავიტატორები აწყობენ კითხვასა და საუბრებს ისტორიული კონფერენციის შედეგების შესახებ. კონფერენციის მასალებს განხილავ უდიდეს ინტერესს იწვევს.

ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ტუსიშვილმა განაცხადა:

— კონფერენციის მიერ მიღებული დეკლარაციები კიდევ უფრო ამტკიცებენ ჰიტლერელთა შეიარაღებული ძალების მალე ძოსპობის ჩვენს რწმენას. ჩვენი ამოცანაა ყოველნაირად გავადიდოთ ფრონტისადმი დახმარება. ჩვენი არტელის კოლმეურნეებმა თავიანთი პირადი მარაგიდან უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს ორ ტონაზე მეტი მარცვლეული. კოლმეურნეებმა იკისრეს 15-30 პროცენტით გაადიდონ მომავალი წლის მოსავლიანობა. კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ კოლმეურნეები აწყობენ სახელმწიფოსათვის პურის დამატებითს მიყიდვას.

7 დეკემბერს ზემო ოსიაურის კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 150 ფუთი მარცვლეული. მარცვლეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოვიდა მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობებიდან. სულ ერთი დღის განმავლობაში, ზაგოტზერნოს საწყობებში შემოვიდა 320 ფუთი პური. (საქდესი).

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა. საამქროს უფროსი ამხ. ვ. კაპანაძე ქარხნის მუშებს უკითხავს სამი მოკავშირე სახელმწიფოს თეირანის კონფერენციის დეკლარაციებს. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახლოა გერმანიის შეიარაღებული ძალების მოსპობის ქამი

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტობა და მთელი კოლექტივი სამი მოკავშირე სახელმწიფოს კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ისინი აღფრთოვანებულნი არიან სტალინს, რუზველტისა და ჩერჩილის ისტორიული შეხვედრით თეირანში.

8 დეკემბერს უნივერსიტეტის კლუბში ხალხმრავალი მიტინგი მიეძღვნა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის დეკლარაციებს. მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ. მან მთელი კოლექტივის ნებასურვილი გამოხატა, როდესაც განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ისტორიული გადაწყვეტილებანი აახლოებენ ჩვენი სრული გამარჯვების ჟამს. ეს ფაქტი უნივერსიტეტის კოლექტივს ავალებს კიდევ უფრო აამაღლოს აკადემიური წარმატება და ყველაფერი გააკეთოს საზიზღარი ჰიტლერული ხროვის განადგურებისათვის.

სამი მოკავშირე სახელმწიფოს გადაწყვეტილებანი მიტინგს გააცნო დოცენტმა ს. სიმონგულოვმა.

პროფესორმა ს. ბერაძემ მიტინგს გაუზიარა ის უდიდესი სიხარული, რასაც ჩვენი ქვეყნის ადამიანები განიცდიან სამი მოკავშირე სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა გამო. საბოლოოდ გაქარწყლდა ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების ლაყბობა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კავშირი მყარი არ იქნებოდა. ახლა მსოფლიო ხედავს, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს კავშირი უაღრესად მტკიცეა და რომ ეს კავშირი ასევე მტკიცე იქნება ომის შემდგომ პერიოდშიც. დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა კონფერენციის გადაწყვეტილებანი, — განაცხადა მიტინგზე დოც. პ. თავხელიძემ, — წარმოადგენენ პროგრესულია კაცობრიობის ნებისყოფის გამოხატულებას ჰიტლერული ტირანიის განადგურებისა და მომავალი მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. ჩვენი ვალია ეაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ მტრის სრული განადგურებისათვის.

მეზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს ფრიადოსანმა სტუდენტებმა პ. თუმანიშვილმა და ვ. ახვლედიანმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მოახლოვდა ჰიტლერელ ავაზაკთა საბოლოო განადგურების ჟამი.

მიტინგის დასასრულს დარბაზში დიდხანს არ სცხრებოდა მჭეხარე ოვაციები ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის პატივსაცემად.

გამარჯვებისა და მშვიდობიანობის სიმბოლო

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი დიდი აღტაცებულია და პატრიოტული აღმავლობით შეხვდა 7 დეკემბერს გამოქვეყნებულ ცნობას ირანის დედაქალაქ თეირანში შემდგარი სამი ოვაციუფლებისმოყვარე მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ისტორიული კონფერენციისა და ამ კონფერენციის დეკლარაციების შესახებ. მიტინგს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების ისტორიული გადაწყვეტილებანი გააცნო ფაბრიკის ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. გ. მირკინმა. მან განაცხადა, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ეს ისტორიული დეკლარაცია ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს დემოკრატიული ქვეყნების საბრძოლო კავშირს, მეგობრულ ურთიერთობას, და ჰიტლერელ ოკუპანტთა გარდუვალ განადგურებას.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა მუშამ ქეთო ფოროტაძემ განაცხადა, რომ დადგა გერმანელ ფაშისტთა ურდოებზე შურისძიების გადამწყვეტი ჟამი. სამი მოკავშირე დემოკრატიული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციის ისტორიული დეკლარაცია მეგობრული თანამშრომლობისა და მშვიდობიანობის სიმბოლოა. ამხ. ფოროტაძემ საამქროს სახელით იკისრა დეკემბრის საწარმოო გეგმის შესრულება 25 დეკემბრისათვის.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა და ახალი ჯალდებულება იკისრა საამქროს უფროსმა ამხ. გ. არუთინოვმა.

ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა თეირანის კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობის დეკლარაციას ახალი ვალდებულებანი უპასუხა — მეოთხე კვარტალში სპეციალურ-ეთის საწარმოო გეგმა შესრულოს გადაჭარბებით, წლიური საწარმოო გეგმა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის და გადუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

თეირანის კონფერენცია

რამდენიმე წელიწადია ქვეყნიერება გმინავს იმ საშინელებათა გამო, რაც მას თავს დაატეხეს გერმანელმა ბარბაროსებმა. ომის ცეცხლში გახვეული, დაწამებული და ტანჯული კაცობრიობა დღე-დღეზე მოელის აწყვეტილი მხეცის შებოჭვას და მის საბოლოო განადგურებას. და სწორედ ამ მომენტში ეაისმა გადამწყვეტი და გამამხნევებელი ხმა თეირანის კონფერენციისა. დღეს ჩვენ შეგვიძლია მთელი ძალით გავიმეოროთ დიდი რუსთაველის სიტყვები: „მზე მოკვეფახლა. მოგვცა ჩვენ მოშორება ჩრდილისა“

„რა მხრივ არის საყურადღებო და სასიხარულო თეირანის კონფერენცია? პირველ ყოვლისა, მან საბოლოოდ გაქარწყლა ძალიმხდილი მტრის იმედი მოკავშირეთა შორის უთანხმოების ჩამოგდებისა და მათი ძალების დაქაქანებისა. სტალინმა, რუზველტმა და ჩერჩილმა კატეგორიულად განაცხადეს: „ჩვენი ქვეყნები ერთობლივად იმუშავებენ, როგორც ომის დროს, ისე შემდგომ მშვიდობიან დროს“. ძალა ერთობაშია, ამიტომ საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

მეორე, სამი მოკავშირე ქვეყნის ხელმძღვანელებმა მიაღწიეს შეთანხმებას მტრის გამანადგურებელი ოპერაციების ვადების შესახებ. საკითხი „ვადისა“ ამ საშინელ ომში ერთ-ერთი მთავარი საკითხია: თავზე ხელაღებულ მტერს უნდა ომი გაგრძელდეს, რათა თუ ის საბოლოოდ იღუპება, მისი მოწინააღმდეგენი ომის გაგიანურებით საგრძნობლად მაინც დასუსტდნენ და დაზარალდნენ. მტრის სურვილს ფრთეხ ეკვეცება, მოკლე დროში ის მოისპობა და განადგურდება.

მესამე, მოკავშირეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ გამანადგურებელი ოპერაციები მტერს თავს დაატყდება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. აღმოსავლეთიდან ჩვენი სახელოვანი წითელი არმია დიდხანია გამანადგურებლად ურტყამს ფაშისტებს. ჩვენი მოკავშირეები ურტყამენ მტერს აგრეთვე სამხრეთიდანაც. საყურადღებოა დეკლარაციაში დასავლეთის ხსენება; უნდა ვიფიქროთ, რომ მოკლე დროში გაიხსნება „დასავლეთის“ ფრონტიც, რაც ყველაზე მეტად აფიქრებს ამჟამად სისხლისაგან დაცლილ მტერს.

დასასრულ, აღმაფრთოვანებელია დეკლარაცია მომავალი მშვიდობიანობის შესახებ: კაცობრიობა მიიღებს ისეთს მშვიდობიანობას, „რომელიც თავიდან აგვაცილებს ომის უბედურებასა და საშინელებას მრავალი თაობის განმავლობაში“.

ასეთია მოკლედ მნიშვნელობა თეირანის ისტორიული კონფერენციისა, რომელსაც არ შეიძლება სულითა და გულით არ მიეგებოთ. თუმცა მარტო მისალმება არ კმარა. ჩვენ ყველანი — მუშა, გლეხი და ინტელიგენტი — მოვალენი ვართ დაძაბული ენერგიით და თავდადებული შრომით ხელი შეეწყოთ ამ ბედნიერი დღის დაჩქარებას და მოახლოებას.

აკად. კ. კეკელიძე

ხალხთა ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილია

დეკლარაცია, რომელსაც სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შორის ხელს აწერს ხალხთა ბელადი და უმაღლესი მთავარსარდალი ამხანაგი სტალინი, უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში. კონფერენციის გადაწყვეტილებანი ახალ ხანას ჰქმნიან კაცობრიობის ბრძოლაში ორივის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ.

უძლეველია სამი დიდი სახელმწიფოს კავშირი. ეს მებრძოლი კავშირი უზრუნველჰყოფს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრწყინვალე მომავალს.

გალაკტიონ ტაბიძე
საქართველოს სახალხო პოეტი.

მარცვლეული — სახელმწიფოს

ჟუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეებმა და კოლმეურნეობებმა 6 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 52 ტონაზე მეტი მარცვლეული. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლამ“ (თავმჯდომარე ი. ფესტვენიძე) სახელმწიფოს მიჰყიდა 6 ტონა მარცვლეული, კოლმეურნეობა „ოქტომბერმა“ (თავმჯდომარე ამხ. სირაძე)—1 ტონა, ხოლო კოლმეურნეებმა — 2 ტონა. სულ გეგუთელმა კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 9 ტონაზე მეტი მარცვლეული. კვაჭირის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 8 ტონა მარცვლეული, საყულეთის კოლმეურნეობა „კომუნარნა“—3 ტონაზე მეტი, ოფშკვითის ვორონეშოვის სახელობის კოლმეურნეობამ—5 ტონამდე. ამ კოლმეურნეობის წევრებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3,5 ტონა მარცვლეული. პატრიკეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვალერიან ადამაძემ სახელმწიფოს მიჰყიდა ერთი ცენტნერი სიმინდი, ბათლომე ადამაძემ — 4 ფუთი.

შ. ჯავახაძე

* * *

აბაშა („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების პასუხად განსაკუთრებული ენტუზიაზმი გამოიჩინეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის საქმეში. 5 დეკემბრისათვის სახელმწიფოსათვის მიყიდული იყო 151 ტონა სიმინდი. სუჯუნის

1 მილიონი ცალი ციგრული გეგმის გადამეტებით

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი სტალინის მოწოდების პასუხად ფრონტისადმი დახმარების ვაძლიერების მიზნით წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. კოლმეურნეობამ 4 დეკემბრისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა ციტრუსთა ნაყოფის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა—ჩაბარა 8.200.000 ცალი ნაყოფი. ციტრუსოვანთა კრეფა გრძელდება. კოლმეურნეობა გეგმის გადამეტებით აბარებს სახელმწიფოს 1.000.000 ცალ ხარისხოვან ნაყოფს.

ვ. ჯაბუა
სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ლიტონკონსტრუქციის ქარხნის კოლექტივის გამარჯვება

თბილისის ლიტონკონსტრუქციის ქარხნის კოლექტივმა ახალ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია. მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა (ქარხნის დირექტორი ამხ. უსოვი) ერთი თვით ადრე—30 ნოემბრისათვის—და მნიშვნელოვანი ვადაჭარბებით შეასრულეს. პროდუქციის თვითღირებულება 11 თვის განმავლობაში შემცირებულია 7 პროცენტით იმაზე მეტად, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 10 პროცენტით. ქარხნის კოლექტივმა იკისრა დეკემბრის ბოლომდე ქვეყანას და ფრონტს მისცეს მრავალი ასეთი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში თავი ვამოიჩინეს ორდენოსანმა მ. ტოტოსაშვილმა, ა. პაპავაძემ, ამხ. რემიზოვმა, თამარ აკოფოვამ, დომნა ლისენკომ, ს. მეტრეველმა, დ. ოთარაშვილმა, ვ. ბუდაგაშვილმა და სხვებმა. როგორც გეგმებს 400-500 და ხშირად 600-700 პროცენტით ასრულებდნენ.

ი. გიკაშვილი

დეპეშები

ინგლისური და ამერიკული პრესა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თეირანის კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). ინგლისური პრესა და რადიო ფართო კომენტარს უკეთებენ სამი სახელმწიფოს დეკლარაციებს. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება თეირანში უაღრესად გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა. გაზეთების პირველ გვერდებზე მოთავსებულია სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ფოტოგრაფიები.

„ტაიმსი“ სწერს: „დეკლარაცია, რომლის დასაწყისში ჩამოთვლილი არიან მისი ავტორები,—შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და საბჭოთა კავშირის პრემიერი, იმდენად ავტორიტეტულია, რამდენადაც ეს შესაძლებელია საქმის ახლანდელ ვითარებაში. მისი მასშტაბები უაღრესად ფართოა... სამი ლიდერი ერთმანეთს განშორდა, „როგორც სულისკვეთებითა და მიზნით ნამდვილი მეგობრები“. მსოფლიო, რომელიც თავს დაალწევს ჩვენი მძიმე საუკუნის მძულვარებასა და სიხასტიკეს, ოდესმე მოიხედავს ამ შეხვედრასაკენ, რომელსაც იგი ჩასთვლის კაცობრიობის შერიგებისაკენ მიმავალი გრძელი გზის ეტაპად“.

„ეს ომი თეირანის დეკლარაციის შემდეგ სხვანაირი ხდება,—ხაზგასმით აღნიშნავს „დეილი ექსპრესი“,—არა უფრო ადვილი, მაგრამ უფრო მიზანმიმართული ომი, რომელიც არ გაგრძელდება უსასრულოდ, კაცობრიობის სრულ დაუძლურებამდე. დეკლარაციის ენა შეესაბამება მის ისტორიულ ხასიათს. მასში საკმაოდ ხშირად ვეხვდება ჩერჩილის ორიგინალური გამოთქმები. მაგრამ ზოგიერთი ფრაზა, დეკლარაციის ინგლისურ ვარიანტშიც კი, მოგონებს რუსულ კონსტრუქციას. ისინი იმ ხმის გამოძახილი არიან, რომლითაც სტალინმა დარაზმა რუსეთის ხალხი მისი უდიდესი საგმირო საქმეებისათვის. მასში მოსმენს აგრეთვე რუზველტის ენა, ნათელი გონება“.

ეხება რა დეკლარაციას ირანის შესახებ, გაზეთი სწერს: „ეს დეკლარაცია არის იმედის დეკლარაცია პატარა ერებისათვის და ამავე დროს დაღუპვის დეკლარაცია დიდი აგრესორებისათვის“.

გაზეთი „ნიუს ქრონიკლი“ კომენტარს უკეთებს კომუნიკეს თეირანის კონფერენციის შესახებ და აცხადებს: „ჩვენ რომ გერმანელები ვყოფილიყავით, ეს დოკუმენტი დამაშინებელ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენზე. განსაცვიფრებელი რწმენა, რაც მის სიტყვებში გამოსჭვივის, ღრმა კვალს დაიჩენს მთელი გერმანიის მორალურ მდგომარეობას. გერმანიამ ახლა იცის, რომ მას არავითარი იმედი არ მოეპოვება გამოიწვიოს განხეთქილება მოკავშირეთა შორის და ამით თავი დაიწოოს დამარცხებას...“.

ეხება რა სამი სახელმწიფოს დეკლარაციას, რეიტერის საგენტმა დიპლომატიური მიმომხილველი რენდელ ნილი აღნიშნავს, რომ თეირანის დეკლარაციაში მთავარია გამარჯვების ურყევი რწმენა. რამდენიმე სხარტი ფრაზით ვერმანიისთვის გამოტანილია სასიკვდილო სახელო ვერ ნაგენი, რომელსაც ხელს აწერენ სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი. სტალინის ხელმოწერა, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი სავსებით იწონებს ინგლისისა და ამერიკის გეგმებს თანამშრომლობისას საომარ ოპერაციებში დასავლეთიდან და სამხრეთიდან, უკანასკნელ ლერსამანს აჭედს გერმანელთა დასამარებული იმედების კუბოს, იმ იმედებისა, რომ შეესძლებოდნენ სამ სახელმწიფოს შორის უთანხმოების ჩამოგდებას ომის წარმოების საკითხებში.

ლონდონის რადიოს პოლიტიკურმა მიმოხილველმა განაცხადა, რომ „თეირანში შედგარმა თათბირმა საფუძველი ჩაუყარა გამარჯვებას და ახალი მსოფლიოს შექმნას. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ერს, რომელსაც კი ტირანია სძულს. მოკავშირენი მიესალმებიან ხალხთა მსოფლიო ოჯახში ყველა ასეთი ერის შესვლას. ამ ერებად დეკლარაცია გულისხმობს იმ ყოფილ მოწინააღმდეგეებსაც კი და ნეიტრალურ ქვეყნებს, რომლებიც თავს დაიწევენ ტირანიას. ამავე დროს ხალხთა მსოფლიო ოჯახში ვერ შევა ვერც ერთი ყოფილი მტრული ქვეყანა, აგრეთვე ნეიტრალური და მოკავშირე ქვეყანაც კი, თუ იგი შეინარჩუნებს მართვა-გამგეობის ისეთ სისტემას, რომელიც დემოკრატიასა და თავისუფლებას უარჰყოფს.

თეირანის კონფერენციამ გაჰფანტა ყოველი ეჭვი ომის თაობაზე, თუ როგორი იქნება მსოფლიო მომავალში, გეზმანიის განადგურებისა და ომის დამთავრების შემდეგ. ახლა სავსებით ცხადია, რომ ამ მსოფლიოში ვეღარ იარსებებენ ან კვლავ ვეღარ წარმოიშობიან იმპერიალიზმი ან ფაშიზმი“.

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). 7 დეკემბრის ინგლისური გაზეთები საუბარ თითქმის მხოლოდდამხოლოდ თეირანის კონფერენციის კომუნიკეს ტექსტით, სამი სახელმწიფო მოღვაწის შეხვედრის აღწერითა და ანგარიშებით. სტალინგრადის მახვილის გადაცემის ცერემონიის აღწერით, სადღეგრძელოთა სტატიებითა და დიპლომატიურ მიმოხილველთა კომენტარებით.

გაზეთ „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმოხილველი აღნიშნავს, რომ კომუნიკეს ძთავარი ფრაზა ის არის, რომელშიც ნათქვამია, რომ ძირითადი შეთანხმება მეორე ფრონტის საკითხზე განხილული იყო ყველა დეტალით.

იუერი „დეილი ჰერალდში“ სწერს, რომ მეორე ფრონტის გახსნის თარიღი უკვე დადგენილია და რომ მოკავშირეთა სტრატეგია, ბოლოს, საესებით გაერთიანებულია. „მომავალი ოპერაციების მიზანი საკმაოდ ცხადად არის დახასიათებული: „გერმანიის ძალების მოსპობა“. ეს ბოლოს მოუღებს გერმანელთა იმედებს იმის შესახებ, რომ ისინი რეიხის რაიმე ინსტანციებული შეცვლის საშუალებით მოახერხებენენ უზრუნველყოფთ თავიანთვის მშვიდობიანობა, რომელიც დასტოვებდა გერმანიის სამხედრო მანქანას... ხოლო არადემოკრატიული ნეიტრალური ქვეყნები, რომლებიც დღემდე ებოლუშებიან ღერძის სახელმწიფოებთან მეგობრობას, დროა ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოსავალ მდგომარეობას. უეჭველია, რომ დეკლარაციის ეს ადგილი გულდასმით იქნება შესწავლილი მადრიდსა და ბუენოს-აირესში. სატელიტი ქვეყნები არც კი აიიან მოსსენებულნი. მათ უკვე იციან, რომ მშვიდობიანობის მიღწევა მათთვის მხოლოდ კაპიტულაციის გზით შეიძლება. თანამედროვე სამშვიდობო პრობლემები მოხსენებულია მხოლოდ არაპირდაპირ განცხადებაში, იმის შესახებ, რომ სამი სახელმწიფო გამოშვალეულია გადაწყვეტილებით იმოქმედონ შეთანხმებულად მტაცი მშვიდობიანობისათვის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი პრობლემები დეტალურად არ ყოფილიყოს განხილული“.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი (საქდესი). თეირანის დეკლარაციების გამოქვეყნებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ამერიკელთა შორის. ასოშიეიტედ პრესის საგენტის ვაშინგტონელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ სტრატეგიის საკითხზე შეთანხმება საშუალებას იძლევა შეთანხმებულად და საბოლოოდ დავარტყათ გერმანიას—შესაძლოა ამ ზამთარში.

ზოგიერთი ოფიციალური პირი ვაშინგტონში, კორესპონდენტის სიტყვით, განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ კონფერენციამ განამტკიცა მეგობრული ურთიერთობა და ერთიანობა ხელმძღვანელ მოკავშირე ქვეყნებს შორის.

6 დეკემბერს საღამოს გამოსულმა გაზეთებმა თეირანის დეკლარაციები კამოაქვეყნეს დიდი სათაურებით, რომლებშიც ხაზგასმით არის აღნიშნული კონფერენციის გადაწყვეტილებანი სამხედრო საკითხებზე.

ყველა ამერიკულმა რადიოსადგურმა შესწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემანი, რათა გამოქვეყნებინა თეირანის კონფერენციის დეკლარაციები.

ა. შ. შტატების ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა განაცხადა, რომ თეირანის კომუნიკე „დიდად გაახარებს უბრალო ადამიანებს მთელ მსოფლიოში. კომუნიკე იმას მოასწავებს, რომ სრული გამარჯვება უფრო მალე დადგება. იგი მოასწავებს აგრეთვე, რომ სამი დიდი ლიდერი გამსჭვალულია გადაწყვეტილებით ომუშაონ ერთად და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის, მონაწილეობით მომავალი მშვიდობიანობა ნამდვილი და მტკიცე გახადონ“.

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი (საკდესი). დიდოლის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს გუშინ ცნობა თეირანში მომხდარი კონფერენციის შესახებ. გაზეთები ენტუზიაზმით მიესალმებიან სამხედრო გადაწყვეტილებებს და შეთანხმებას ევრანის შეიარაღებულ ძალთა მოსპობის შესახებ, აგრეთვე მიესალმებიან განცხადებას იმის შესახებ, რომ კონფერენცია მიგვიყვანს მტკიცე მშვიდობიანობამდე. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გულითად ვითარებას, რომელშიც მოლაპარაკები სწარმოებდა.

„არც ერთი დეკლარაცია ომის შესახებ არ შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო საზეიმო და ტაბეგორიული. ის ფაქტი,—სწერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“,—რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხედრო საკითხებს, ცხადია, შეესაბამება სტალინს, სურვილებს, რომელიც უკვე დიდი ხანია დაეინებით მოითხოვდა ახალი ფრონტის გახსნას ევროპაში. მაგრამ ეს შეესაბამება აგრეთვე რუზველტისა და ჩერჩილის სურვილებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია ემზადებოდნენ ევროპაში შესაჭრელად იმ სამხედრო შესაძლებლობათა და საზღვაო და საჰაერო ფრონტების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც სპეციალურად არის დათქმული თეირანის დეკლარაციაში. საკითხი ახალი ფრონტის შესახებ ამჟამად გადაწყვეტილია იმ ნაწილში, რომელიც ეხება ოპერაციების მასშტაბსა და ვადებს. გარდა ამისა, ნახსენებია აგრეთვე სამხრეთის ფრონტი.

დეკლარაცია, სწერს დასასრულ გაზეთი, გამოსთქვამს იმის რწმენას, რომ სამხედრო შეთანხმება უზრუნველჰყოფს მტკიცე მშვიდობიანობას. იგი გვაირდება, რომ მსოფლიო არ გახდება ორ სახელმწიფოთა დიქტატურად, იგი ადასტურებს ატლანტიკის ქარტიისა და მოსკოვის კონფერენციის პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა — დიდი და პატარა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიული ქვეყნების მსოფლიო ოჯახის შექმნაში და საერთაშორისო უშიშროების დაცვასა და განვითარებაში. ეს არის ერთადერთი იმედი, რომელსაც დეკლარაცია აძლევს გერმანელ ხალხს იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი განთავისუფლდება ვიეი მმართველებისაგან და მოისურვებს მშვიდობიანად იცხოვროს თავის მეზობლებთან“.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის პროვინციული გაზეთების უმეტესი ნაწილი მიესალმება თეირანის დეკლარაციებს, როგორც გადამწყვეტ დარტყმას გაერთიანებული ერების გათიშვის ჰიტლერული გეგმების წინააღმდეგ და როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც აჩქარებს გერმანიის განადგურებას და მტკიცე მშვიდობიანობის სისტემის შექმნას.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, კონგრესის წევრები, როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკატებიც მიესალმებიან სამი სახელმწიფოს დეკლარაციას. რესპუბლიკელთა ლიდერის მოვალეობის აღმსრულებელმა სენატში უაიტმა (მენის შტატიდან) განაცხადა: „სახელმწიფოთა ხელმძღვანელების თათბირმა კიდევ უფრო განამტკიცა მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენს სათანადო მოკავშირეთა შორის და იგი უზრუნველჰყოფს ნაგმიმალურად სრულ თანამშრომლობას“.

სენატორმა-დემოკრატმა ჩენდლერმა (კენტუკის შტატ